ორი ქულა აღებულია ბაქოშიც

ტელევიზიამ თბილისში მოიტანა ის მატჩი, რომელიც არ შემდგარა ჩვენს სტადიონზე. საქართველოსა და აზერბაიჯანის ტელევიზიის მუშაკებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ჩვენს ფეხბურთის მოყვარულებს ენახათ მატჩი საკავშირო პირველობაზე ბაქოს "ნეფტიანიკსა" და თბილისის "დინამოს" შორის. ეს პირველი ცდა წარმატებით დამთავრდა და იგი გარანტიას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალშიც ვნახავთ თამაშებს, რომელთა შესახებ წარმოდგენა გვქონდა მხოლოდ დიქტორის შორეული გადაცემისა ან ძუნწი სარეპორტიორო ანგარიშის მიხედვით.

გუშინდელ მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო დინამოელთათვის, არამედ ქუთაისელთათვისაც. მისი შედეგი უშუალოდ იწერებოდა "დინამოს" "შემოსავალ-გასავალში", მაგრამ ამავე დროს საგრძნობ გავლენას ახდენდა ქუთაისის "ტორპედოს" მდგომარეობაზეც გათამაშების ცხრილში. ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა ინტერესით ადევნებდნენ თვალს ჩვენს რესპუბლიკაში მატჩს თბილისის "დინამოსა" და ბაქოს "ნეფტიანიკს" შორის.

თბილისელებმა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს თამაში და უკვე მე-7 წუთზე "ნეფტიანიკის" მეკარე შეხოვი იძულებული იყო ბადიდან გამოეტანა ბურთი. ეს იყო იამანიძე-კალოევის მიერ გათამაშებული კომბინაცია, რომელიც თბილისელთა ცენტრალურმა ფორვარდმა დაამთავრა ზუსტი დარტყმით - 1:0.

ტაიმის დასასრულს ბარქაიამ დაკარგა ანგარიშის გაზრდის საუკეთესო საშუალება, ხოლო "ნეფტიანიკის" თავდამსხმელმა მარქაროვმა მეტად ეფექტური დარტყმით აღუდგინა თავის გუნდს წონასწორობა - 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელებმა გაიმეორეს თავიანთი მძლავრი შეტევა და კალოევმა კვლავ წინ გაიყვანა თავისი გუნდი - 2:1. მასპინძლები კარგა ხანს ფლობდნენ ინიციატივას და დინამოელთა კართან საკმაოდ იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ მცველთა მოფიქრებული, ზუსტი ურთიერთმოქმედების შედეგად ყველა ეს იერიში უშედეგოდ დამთავრდა.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა თბილისელებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს "ნეფტიანიკის" კართან და ბარქაიამ შესანიშნავი დარტყმით განამტკიცა თბილისელთა დამსახურებული გამარჯვება - 3:1.

"დინამო" აღნიშნულ ატჩში გამოდიოდა შემდეგი შემადგენლობით: ლეჟავა, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, დათუნაშვილი, კალოევი, ბარქაია, მესხი.

"ლელო", 20 აგვისტო, 1963 წ.